ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7529945

ნომერი: AR11096166

თარიღი : 18.06.2025

გაცემის თარიღი : 25.06.2025

გაცნობის თარიღი : 25.06.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი , N 3 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა გიორგაშვილი პ/ნ 01027020986
- თბილისი, აფხაზავას VI შეს. #4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს მოთხოვნილი ფუნქციით საპროექტო ობიექტის განთავსებაზე საჭიროა შენობა მოიყვანოთ საკადასტრო მასშტაბთან შესაბამისობაში და დასვათ შენობა ზუსტი ლოკაციით .

წარმოსადგენია არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა რამოდენიმე რაკურსის ხედიდან ფიქსაციით , ისეთი სახით რომ აღქმადი იქნას მთლიანი მიწის ნაკვეთის არეალი , რომელზეც კონტურის სახით უნდა იქნას მონიშნული საპროექტო მიწის ნაკვეთის არეალი , იმ შემთხვევაში თუ საპროექტო არეალში ყვება ხე ნარგავები , წარმოსადგენი გექნებათ გენ- გეგმის ნახაზი ტოპოგრაფიული გეგმის საფუძველზე დამუშავებული სახით , რომელზეც საპროექტო შენობამდე რადიუსის სახით უნდა იქნას ასახული მიბმის მანძილები შენობის კედლებამდე;

საჭიროების შემთხვევაში წარმოსადგენი გექნებათ განახლებული ფოტომონტაჟი

წარმოდგენილი იქნას საგზაო მოძრაობის სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით შეთანხმებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან ;

აქ თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ნაკვეთზე ფიქსირდება "თბილისი ენერჯი"-ს გაზსადენის შეზღუდვის ზონა, საჭიროა წარმოდგენილი იქნას მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით , ხოლო პროექტის შეთანხმების ეტაპზე , წარმოსადგენი გექნებათ შესაბამისი წესით დამოწმებული გრაფიკული მასალა (გენგეგმის სახით)

ასევე ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები : N 01.01.834 მიწისქვეშა წყალმომარაგების ქსელი , მესაკუთრე- შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" და N 01.00.324 საკომუნიკაციო ნაგებობა სს "სილქნეტი"- საკუთრება ასევე წარმოსადგენი გექნებათ მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით , ხოლო პროექტის შეთანხმების ეტაპზე , წარმოსადგენი გექნებათ მესაკუთრეების თანხმობა შესაბამისი წესით დამოწმებული გრაფიკული მასალის (გენგეგმის სახით)თანდართვით ;

დაზუსტებული - ინფორმაცია დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში) სამსახურის მიერ გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ კანონით განსაზღვრულ ვადაში .

თქვენ გემლევათ15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.